აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 2

25 აპრილი 2007 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, გუგული დუაძე, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრები თამაზ შარმანაშვილი და გია გარსევანიშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნესტან ნაკაშიძე, იურიდიული სამსახურის უფროსი ფრიდონ ბათნიძე, ეკონომიკური სამსახურის უფროსი ლევან სამნიძე, საორგანიზაციო სამსახურის უფროსი ლევან ჩავლეიშვილი;

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარადგინა დღის წესრიგის პროექტი

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 12 ნოემბრის №3[2] დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადრბის შესახებ (მომხს. ა. მიქელაძე)
2. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ (მომხს. ა. მიქელაძე)
3. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ (მომხს. ა. მიქელაძე)
4. განკარგულება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ (მომხს. ა. მიქელაძე)
5. სხვადასხვა

1. დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 12 ნოემბრის №3[2] დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ"

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ მ/წ 24 აპრილიდან ძალაში შევიდა კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, რომლის თანახმადაც, გაუქმდა უსკოს მიერ შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიები. მან აღნიშნა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს უსკოს მიერ 2004 წლის 12 ნოემბრის №3[2] დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება, რომლითაც შექმნილი იქნა საოლქო საარჩევნო კომისიები. ასევე სხდომის თავმჯდომარემ მითითებები და დავალებები მისცა ეკონომიკურ, საერთო და საორგანიზაციო სამსახურებს უზრუნველყონ საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ინვენტარისა და დოკუმენტაციების გადმობარება. სხდომის თავმჯდომარემ ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 12 ნოემბრის №3[2] დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 83[1] მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 12 ნოემბრის დადგენილება №3[2] საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნის თაობაზე.

მუხლი 2. უმაღლეს საარჩევნო კომისიის აპარატის საერთო, საორგანიზაციო და ეკონომიკურმა სამსახურებმა უზრუნველყონ თითოეულ საარჩევნო ოლქში არსებული დოკუმენტაციის, ინვენტარისა და სხვა მასალების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხვა და ჩაბარება.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ”

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებებით გაუქმდა უსკოს ოლქები და უფლებამოსილება შეუწყდათ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს. შესაბამისად უნდა განხორციელდეს ცვლილება უსკოს მიერ 16.03.07 წ. დამტკიცებულ საშტატო

განრიგში და ამოღებული უნდა იქნეს დანართის ის პუნქტი, რომელიც შეეხება საოლქო საარჩევნო კომისიების საშტატო ერთეულებს. სხდომის თავმჯდომარემ მუხლობრივად განიხილა ყველა ის ცვლილება, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ
სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი

მიღებულია დადგენილება:

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 16 მარტის №1 დადგენილებით (გაზეთი „აჭარა“ 20. 03. 07. №43) დამტკიცებულ საშტატო განრიგში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

1. ამოღებული იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 16 მარტის №1 დადგენილების 1-ლი მუხლის „გ“ პუნქტი (დანართი №3 საოლქო საარჩევნო კომისიები).

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აპარატის უფროსის თანამდებობის გაუქმებასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფდა შინაგანაწესის საჯარო მოსამსახურეთათვის გაცნობასა და დასწრების აღრიცხვის ჟურნალის წარმოებას, ასევე შინაგანაწესში წახალისებისა და დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გარკვეული ნორმების დამატების გამო საჭიროა ახალი რედაქციის მიღება. სხდომის თავმჯდომარემ განიხილა ყველა საკითხი რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ
სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი

მიღებულია დადგენილება:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე, 73-ე მუხლების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესი თანდართული ნიმუშის მიხედვით (დანართი 1).

მუხლი 2. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების დროის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი 2).

მუხლი 3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანმა უზრუნველყოს:

ა) შინაგანაწესის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საჯარო მოსამსახურეთათვის გაცნობა;

ბ) უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების დროის აღრიცხვის ჟურნალის წარმოება.

მუხლი 4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის დადგენილება №5 უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე.

მუხლი 5. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 6. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება უსკოს მიერ არჩეულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, სხდომის თავმჯდომარემ ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ. სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 83^1 მუხლის 1-ლი პუნქტის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96–ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. შეუწყდეთ უფლებამოსილება ბათუმის №79/1 და №79/2 საოლქო საარჩევნო კომისიის შემდეგ წევრებს:

1.1. ბათუმი №79/1 - ნანა ჯინჭარაძე;
1.2. ბათუმი №79/1 – მაია მეფარიშვილი;
1.3 ბათუმი №79/2 – ნათია ფირცხალაიშვილი;
1.4. ბათუმი №79/2 – მაია ფირცხალაიშვილი.

2. შეუწყდეთ უფლებამოსილება ქობულეთის №81/3 და №81/4 საოლქო საარჩევნო კომისიის შემდეგ წევრებს:

2.1. ქობულეთი №81/3 – თეიმურაზ ჭეიშვილი;
2.2. ქობულეთი №81/3 – რომან კვესიეიშვილი;
2.3. ქობულეთი №81/4 – დავით გორგილაძე;
2.4. ქობულეთი №81/4 – ემზარ ჯინჭარაძე.

3. შეუწყდეთ უფლებამოსილება ხელვაჩაურის №83/5 და №83/6 საოლქო საარჩევნო კომისიის შემდეგ წევრებს:

3.1. ხელვაჩაური №83/5 – სოფიო ლაკია;
3.2. ხელვაჩაური №83/5 – ლარისა ყურშუბაძე;
3.3. ხელვაჩაური №83/6 – რევაზ თურმანიძე;
3.4. ხელვაჩაური №83/6 – ილია ცხადაძე.

4. შეუწყდეთ უფლებამოსილება ქედის №80/7 და №80/8 საოლქო საარჩევნო კომისიის შემდეგ წევრებს:

4.1. ქედა №80/7 – ია ბარამიძე;
4.2. ქედა №80/7 – როზა მახაჭაძე;
4.3. ქედა №80/8 – იზოლდა ბარამიძე;
4.4. ქედა №80/8 – ირმა ბერიძე.

5. შეუწყდეთ უფლებამოსილება შუახევის №82/9 და №82/10 საოლქო საარჩევნო კომისიის შემდეგ წევრებს:

5.1. შუახევი №82/9 – ნუგზარ დავითაძე;
5.2. შუახევი №82/9 – ელზა ველიაძე;
5.3. შუახევი №82/10 – ზებურ მამულაძე;
5.4. შუახევი №82/10 – ბადრი მიქელაძე.

6. შეუწყდეთ უფლებამოსილება ხულოს №84/11 და №84/12 საოლქო საარჩევნო კომისიის შემდეგ წევრებს:

6.1. ხულო №84/11 – ავთანდილ ბოლქვაძე;
6.2. ხულო №84/11 – ელდარ აბაშიძე;
6.3. ხულო №84/12 – რუსლან აბულაძე;
6.4. ხულო №84/12 – გივი ქედელიძე.

7. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

8. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. სხვადასხვა

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ დააყენა საკითხი უსკოსათვის საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის განკუთვნილი შენობების გადმოცემის პროცედურის დროულად და დადგენილი წესით შესრულების შესახებ, უსკოს საორგანიზაციო და ეკონომიკურ სამსახურებს კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დაევალათ ყველა ფომალური პროცედურის განხორციელება შენობების გადმოცემასთან დაკავშირებით, ასევე შენობების შემდგომი გამოყენების საკითხების ორგანიზებულად მოგვარება. კომისიის წევრს ასლან ჩავლეიშვილს ეთხოვა ზოგადი კოორდინაცია გაუწიოს არსებულ საკითხებს.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია